ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7199914

ნომერი: AR11052328

თარიღი : 08.08.2024

გაცემის თარიღი : 30.08.2024

გაცნობის თარიღი : 11.12.2024

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, პეტრე იბერის ქუჩა, N 6ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა სვანიძე პ/ნ 01003021229
- მარშალ გელოვანის გამზირი4ა. ბინა22.

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 08 აგვისტოს №AR11052328 განცხადებით მომართა პაატა სვანიძემ და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 27 თებერვლის №6344585 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 27 თებერვლის №6344585 ბრძანებით შეთანხმდა №01.10.06.001.283 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №528 განკარგულებით დამტკიცდა ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დიდი დიღომში, ტელევიზორების ქარხნის მიმდებარედ არსებულ №1/10/6/1/12 მიწის ნაკვეთზე ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 13 დეკემბრის №20/754 ბრძანებით შეთანხმებული მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს ცვლილების შეტანას სამსახურის 2023 წლის 27 თებერვლის №6344585 ბრძანებაში. კერძოდ, განმცხადებელი განმარტავს, რომ სურს ცლილება შევიდეს კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და დაფიქსირდეს: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, კორპუსი №6.
როგორც ზემოთ აღინიშნა სამსახურის 2023 წლის 27 თებერვლის №6344585 ბრძანების გამოცემის შემდეგ შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 13 დეკემბრის №20/754 ბრძანებაში და შეთანხმდა განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური განმარტავს, რომ კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად შეთანხმებულ კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტში ცვლილების შეტანა, საჭიროებს შეთანხმებული პროექტის ცვლილებას (კორექტირებას).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმის შესაბამისად ცვლილების ასახვა საჭიროებს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის კორექტირებას, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას შეიტანოს ცვლილება (ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში ნომენკლატურით) სამსახურის 2023 წლის 27 თებერვლის №6344585 ბრძანებაში.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.